



# IBSU

შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან  
ოქმი №2, 1 თებერვალი, 2018 წელი

სამსახურის უფროსი ასოც.პროფ. დიანა მჭედლიშვილი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №4, 5 თებერვალი, 2018 წელი  
ფაკულტეტის

დეკანი, ასოც. პროფ., დოქტ. ეკატერინე ზაკარაძე

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №2, 5 თებერვალი, 2018 წელი

რექტორი პროფ., დოქტორი ილიას ჩილოღლუ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**შედარებითი კომერციული სამართალი**

თბილისი  
2018 წელი

მიმართულება: 06 სამართალი

დარგი / სპეციალობა: 0603 კერძო/ბიზნეს სამართალი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: შედარებითი კომერციული სამართალი Comparative Commercial Law

ფაკულტეტი: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

ვახტანგ ზაალიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფ.

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Law)

კვალიფიკაციის კოდი: 06

სწავლების ენა: ქართული, ინგლისური კომპონენტებით

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- 42 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 24 კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა (შეთავაზებული სამი კლინიკიდან (სამართლის კლინიკა - 12 კრედიტი, მედიაციის კლინიკა - 12 კრედიტი, არბიტრაჟის კლინიკა - 12 კრედიტი) სტუდენტი ირჩევს ორს);
- 24 კრედიტი - არჩევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;
- 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 24 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 6 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები სამაგისტრო საფეხურიდან.

#### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა
- საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2) (ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS და FCE) კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესი

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარება.

კერძოდ, შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შედარებითი კომერციული სამართლის და კორპორაციული მართვის იმ მნიშვნელოვანი პრინციპების ცოდნა, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კომპანიებისათვის და ამ სფეროთი დაინტერესებული მომხმარებლებისთვის;
- მაგისტრანტს შესძინოს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობაში კერძო სამართლის მიმართულებით, კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და დახვეწის მიზნით მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით;
- შეასწავლოს სტუდენტს ევროპული კავშირის კომერციული სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და რიგი პრაქტიკულად საინტერესო საკითხის ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს მიღებული ცოდნის გამოიყენონ მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის;
- შეასწავლოს კერძო სამართლის ძირითადი ქვე-დარგების - შედარებითი სახელშეკრულებო, შედარებითი საკორპორაციო, შედარებითი საბანკო, შედარებითი სანივთო, კონკურენციის სამართლის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების შესწავლა ქართულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ამერიკულ საერთო სამართლთან შედარების საფუძველზე (ამ სასწავლო კურსების არჩევის შემთხვევაში);
- სასწავლო პროცესში იურიდიული, საარბიტრაჟო და მედიაციის კლინიკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომ ხელი შეუწყოს მაგისტრანტს სტუდენტობის პერიოდშივე მოახდინოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;
- სტუდენტი შეძლებს შედარებით კომერციულ სამართალთან დაკავშირებული ზოგადი თემატიკის სამართლებრივად გაანალიზებასა და მიღებული ინფორმაციის პრაქტიკულ გამოყენებას.

- შესძინოს მაგისტრანტებს ისეთი ცოდნა და გამოცდილება, რაც საშუალებას მისცემს მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოახდინონ დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და წარმომადგენლობა კომერციული სამართლის სფეროში, როგორც ეროვნული, ასევე ევროპული კავშირის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
- გამოუმუშავოს კურსდამთავრებულს უნარი წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე ურთიერთობაში. მარტივად აღმოაჩინოს სამართლებრივი დარღვევები (არსებობის შემთხვევაში) და საქმიანობის სწორი სტრატეგიული დაგეგმვით შეიმუშავოს პოზიცია და მიიღოს შესაბამისი სწორი გადაწყვეტილებები;
- მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა ძირითადი სამართლებრივი სისტემების - კონტინენტალური სამართლისა და საერთო სამართლის თავისებურებებისა და პრაქტიკული ასპექტების შესახებ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან და კონკრეტულად, კომერციულ (ბიზნეს) სამართალთან მიმართებით;
- მაგისტრანტებს განუვითაროს პრობლემების კრიტიკული გააზრებისა და დარგობრივი კომპლექსური სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას, მათი ადეკვატური გადაწყვეტის უნარი;
- უზრუნველყოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები სამართლებრივი ანალიზისა და წერითი უნარის ღრმა, ყოვლისმომცველი და სისტემური ცოდნით. მისცეს მათ ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიული სამართლებრივი ნაწერის მომზადებისა და წარდგენის, სრულყოფილი ანალიზის, საკუთარი და სხვის მიერ მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების შეფასებების უნარი;
- ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე დადგენილი სტანდარტების მიხედვით, შესძინოს სტუდენტს პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება კერძო სამართლის მიმართულებით სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოების, საადვოკატო წარმომადგენლობის განხორციელებისა და შესაბამისი საპროცესო დოკუმენტების შედგენის. ასევე, შეასწავლოს სტუდენტს საადვოკატო და სამოსამართლო პროფესიული ეთიკის პრინციპები ქართული, ევროპული და ამერიკული სტანდარტების შესაბამისად;

**სწავლის შედეგი:** პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავებული აქვს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სწავლების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის</p>	<p>შეიძენს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ როგორც ქართული ასევე უცხო ქვეყნების კომერციული სამართლის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნას, რაც დაეხმარება კურსდამთავრებულს კომერციული სამართლისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების, სიღმისეულად გაანალიზებაში;</li> <li>✓ შედარებითი კომერციული სამართლის ქვე-დარგების სისტემური ცოდნას, რომელიც მისცემს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, ცალკეული პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი გზების გაცნობიერებას;</li> </ul>
-------------------------------------	---	--

	<p>მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების მოსამართლეთა, ადვოკატთა, საქმიანობის პროფესიული სტანდარტების, პროფესიული ეთიკის კოდექსებისა და მათი ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნას;</li> <li>✓ საერთაშორისო კომერციული სამართლის მიმართულებით ევროპის ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობათა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ მყარი ცოდნას;</li> <li>✓ შედარებითი კერძო სამართლის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, სიღრმისეული ცოდნას.გააცნობიერებს იმ ღირებულებათა სისტემას, რომელსაც ეფუძნება სხვადასხვა სამართლებრივ ოჯახებში კომერციული ურთიერთობების მოწესრიგების სისტემა.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება.</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების მეშვეობით;</li> <li>✓ კონსულტაცია გაუწიოს დაინტერესებულ პირებს და განახორციელოს მათი ინტერესების დაცვაკომერციული სამართლის სფეროში, როგორც ეროვნული, ასევე ევროპული ოკავშირის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;</li> <li>✓ წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე ურთიერთობაში, გადაწყვიტოს შიდაკორპორაციული კომპლექსური საკითხები ადგილობრივი და მულტინაციონალური კომპანიებისათვის;</li> <li>✓ კლიენტთან ურთიერთობას, სასამართლოსთან კომუნიკაციასა და საპროცესო დოკუმენტაციის შედგენას როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენებზე;</li> <li>✓ წარმომადგენლობის განხორციელებას, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;</li> <li>✓ საქმის წარმოებას როგორც საერთო სასამართლოებში, ასევე საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში;</li> </ul> <p>ექნება სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის სამართლებრივი საფუძვლების მოძიების, ნორმათა ადეკვატური განმარტებისა და გამოყენების უნარი.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო</p>	<p>ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, არგუმენტირებული მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრების დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი;</li> </ul>

	<p>პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>✓ მიღებულ ინფორმაციასა და მონაცემებზე დაყრდნობით ინოვაციური სინთეზის უნარი;</li> <li>✓ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ანალიზის შედეგების გაცნობისა და კონსტრუქციული კრიტიკის უნარი;</li> <li>✓ სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.</li> </ul> <p>შემდგომად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ძირითადი სამართლებრივი ტენდენციების შესაბამისად საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და დაცვას;</li> <li>✓ ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილების ანალიზის და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბებას;</li> <li>✓ პროფესიული ეთიკის საკითხების გააზრებას, კონკრეტული სიტუაციის შეფასებას და კომპეტენტური დასკვნის გაკეთებას შესაბამისი ნორმატიული მასალის გამოყენებითა და დასაბუთებული სამართლებრივი არგუმენტების მითითებით;</li> <li>✓ მოახდინოს საერთაშორისო ბიზნეს გარემოს როლის განსაზღვრა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითის შესწავლის საფუძველზე;</li> <li>✓ გააცნობიეროს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში, ჩამოაყალიბოს და დაიცვას საკუთარი პოზიციები.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.</p>	<p>ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის დამყარების უნარი;</li> <li>✓ პროფესიული საქმიანობისა და კომუნიკაციის ზეპირად და წერილობით, ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმართვის უნარი;</li> <li>✓ პროცესუალური ფორმების დაცვით კომუნიკაციის, საპროცესო დოკუმენტაციის შედგენისა და საპროცესო კომუნიკაციის განხორციელების უნარი შესაბამისი სტანდარტების დაცვით;</li> <li>✓ ინფორმაციის მშობლიურ და ინგლისურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>✓ დებატებში მონაწილეობის, არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების უნარი;</li> <li>✓ ქართულ და ინგლისურ ენებზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და პოზიციების ცხადად გადმოცემის უნარი.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით</p>	<p>ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სასწავლო პროცესის თავისებურებების უკეთ გაცნობიერების უნარი;</li> <li>✓ უნარი, დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთმიმართება და ამის საფუძველზე, შეაფასოს საკუთარი აკადემიური პროფილი, მიიღოს გადაწყვეტილება ცოდნის გაღრმავების სამომავლო საჭიროებების შესახებ;</li> <li>✓ უნარი, გაიფართოვოს ცოდნა შედარებითი კომერციული სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისა და განზოგადების მეშვეობით;</li> <li>✓ საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეებისათვის თვალყურის მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<p>მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.</p>	<p>სტუდენტი გააცნობიერებს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სხვადასხვა ასპარეზე და პროფესიული კუთხით ღირებულებათა კონფლიქტის შინაარსს;</li> <li>✓ ადვოკატების, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირების მოქმედებებში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების აუცილებლობას მართლმსაჯულების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე - ეთიკური სტანდარტების საფუძველ ღირებულებებს;</li> <li>✓ ღირებულებებისადმი სუბიექტური და დამოკიდებულების ურთიერთთბალანსის აუცილებლობას და ახალი ღირებულებების დამკვიდრების პერსპექტივებს;</li> <li>✓ კონკურენტულ გარემოში დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული პროფესიული ვალდებულებების მასშტაბს;</li> <li>✓ აკადემიური და პროფესიული პატიოსნების პრინციპების დაცვის აუცილებლობას და პროფესიული თუ სოციალური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართებას;</li> </ul>

		✓ ინდივიდუალურუფლებებათა განხორციელებისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების აუცილებლობას.
--	--	--

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსი / კლინიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I. სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი						



შედარებითი კერძო სამართალი, ძირითადი კონცეფციები	X	X	X	X		X
სამართლებრივი წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
პროფესიული უნარ-ჩვევები	X	X	X	X	X	X
სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება	X	X	X		X	X
პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები	X	X	X		X	X
შედარებითი საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტა	X	X	X	X	X	X
დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+)	X	X		X	X	
<b>II. სპეციალობის არჩევითი კომპონენტი</b>						
საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X	X	X		X
შედარებითი სანიეტო სამართალი	X	X	X	X		
შედარებითი საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X		
შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	X	X		X	X	
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, ქართული და ევროპული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი	X	X	X			
შედარებითი საბანკო სამართალი	X	X	X	X	X	X
მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	X	X	X		X	
ევროკავშირის ბიზნეს-სამართალი	X	X	X	X	X	X
ევროკავშირის კონკურენციის სამართალი	X	X	X			
საერთაშორისო ნასყიდობის სამართალი	X	X	X	X	X	X

ევროკავშირის კომერციული სამართალი	X	X	X	X	X	X
კორპორაციული მართვა	X	X	X			X
მედიაცია, მოლაპარაკება და მენეჯმენტი	X	X	X	X		
<b>III. პრაქტიკული კომპონენტი (სავალდებულოა 2 კლინიკის გავლა)</b>						
იურიდიული კლინიკა	X	X	X	X	X	X
მედიაციის კლინიკა	X	X	X	X	X	X
არბიტრაჟის კლინიკა	X	X	X	X	X	X
<b>IV კვლევითი კომპონენტი</b>						
სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული პროცესები, სამართლებრივი ამოცანები და სხვა), პრაქტიკოს იურისტთა მასტერკლასებს, იურიდიულ და მედიაციის კლინიკებს.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **როლური თამაში** - სპონტანური, კრეატიული და რეალურთან მიახლოებული სწავლების სტრატეგია, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი აიძულებს მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისხმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. როლური თამაშები კარგად გამოიყენება იურიდიული განათლების კონტექსტში, სადაც სასამართლოს საქმიანობის წარმოსახვას ითვალისწინებს. სტუდენტებისთვის უჩვეულო როლში ყოფნა მათ აძლევთ საშუალებას სიტუაცია დაინახონ სხვა პერსპექტივიდან. როლური თამაში საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის.
- **საკლასო სიმულაციები სამართლის სწავლებისთვის** - მოიცავს შემდეგს: სასამართლო განხილვები, იმიტირებული პროცესები; დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები: მედიაცია, არბიტრაჟი, მოლაპარაკებები. კლიენტის გამოკითხვა და კლიენტის კონსულტირება; კანონის მიღების პროცესი; საპარლამენტო დებატები; საკანონმდებლო საქმიანობა (კანონის მომზადების პროცესი). საკლასო სიმულაციის ეტაპები: იმ საგანმანათლებლო მიზნის განსაზღვრა, რომელსაც ემსახურება სიმულაცია; შესაბამისი კაზუსის მომზადება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სიმულაციას; სიმულაციის გათამაშება; სიმულაციის შეფასება; სიმულაციის გადამუშავება.

- **საკანონმდებლო სიმულაცია** - ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საკითხზე, რომლის საკანონმდებლო მოსმენა შესაძლებელია ქალაქის საბჭოსა თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. მნიშვნელოვანია, სტუდენტების ნაწილი წარმოადგენდეს კანონმდებელს, ხოლო მეორე ნაწილი მოსახლეობას ან დაინტერესებულ ჯგუფს. სტუდენტები გაყოფილი იქნებიან შემდეგ როლებზე: ა) კანონმდებლები ან კომიტეტის წევრები - საშუალოდ 5-9 კანონმდებელი, მაგრამ ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. ერთი კანონმდებელი დაინიშნება კომიტეტის თავმჯდომარედ. ბ) მოწმეები - მოწმეები რაოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კოკრეტულ საქმეზე. მოწმემა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ განსხვავებული შეხედულებები.
- **სასამართლო პრაქტიკის შესწავლა** - სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოითხოვს სტუდენტებისაგან პრობლემური სიტუაციების გაანალიზებას და დასკვნების გამოტანას შესაბამის გადაწყვეტილებებში. არსებობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სხვადასხვა ფორმა: სასამართლო პრეცედენტებზე დაფუძნებული სამართლებრივი საქმეები; სავარაუდო სიტუაციები, რომლებიც მოიცავს დავების ან რაიმე დილემის გადაწყვეტას; ასევე რეალურ სიტუაციებს ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნებიდან ან სხვა რესურსებიდან. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ძირითადად დაფუძნებულია წერილობით ფორმაზე, ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს აუდიოვიზუალური საშუალებებით, როგორცაა ფილმის ყურება და აუდიოჩანაწერის მოსმენა. პრაქტიკა ძირითადად მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ფაქტების აღწერას; პრობლემების გადაწყვეტას; არგუმენტებზე და განსხვავებულ პრობლემებზე მითითებას; გადაწყვეტილებას ან შედეგს წარმოდგენილ საქმეზე; მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს.
- **იმიტირებული სასამართლო პროცესი** - იმიტირებული სასამართლო პროცესი წარმოადგენს როლურ თამაშს, რომელიც გულისხმობს სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს განხილვებს. სასამართლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით განიხილავს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოწმეებს არ იძახებენ. ძირითადი ფაქტებიც არ არის სადავო. არგუმენტები მომზადებულია და წარმოდგენილი სასამართლო კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით (მაგ: რომელიმე კანონის კონსტიტუციურობა). მკინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესები არ არის დამყარებული მხოლოდ მოწმის სანდოობაზე, ისინი წარმოადგენენ ეფექტურ სტრატეგიას სტუდენტების ყურადღების ფოკუსირებისათვის სამართლის ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებზე.
- **მაგალითების შესწავლა:** სამართლებრივი საკითხების სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას კანონი რეალურ საქმეებსა და სიტუაციებს მიუსადაგონ. მაგალითები წინასწარ უნდა იყოს შედგენილი და სწავლების მიზანს მორგებული. სასურველია, მეთოდი გაერთიანდეს სხვა ისეთ მეთოდებთან, როგორც არის დისკუსია მცირე ჯგუფებში, როლური თამაშები, აზრთა/იდეების გაცვლა და სხვა.
- **კაზუსის მომზადება:** კაზუსი არის ლექტორის მიერ დასმული სამართლებრივი პრობლემა, რომელიც საჭიროებს გადაჭრას. ამ დროს სტუდენტები წარმოიდგენენ, რომ ქმნიან დეტექტიურ ისტორიას. კაზუსის მომზადებას იწყებენ იმ პრობლემათა ჩამონათვალით, რომელთა განხილვაც მათ სურთ კაზუსის მეშვეობით. სასურველია კაზუსი შეიცავდეს: შესავალს; ფაქტების და წინასტორიის აღწერას; გამოსაყენებელ სამართლის ნორმებს; სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაჭრაც უნდა მოხდეს.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ რეალურ ან ჰიპოთეტურ შემთხვევებს, მათი ყოველმხრივი და საფუძვლიანად შეისწავლის მიზნით. მეთოდი მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული საკითხის არსებული გადაწყვეტის ანალიზს, ისე კონკრეტულის განზოგადების შესაძლებლობის შეფასებას.
- **დიალოგი სოკრატეს მეთოდით** - სოკრატეს მეთოდი წინასწარ შექმნილი ან არასწორად გაგებული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოკვლევის მიზნით ეხმარება სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. სამართლის სტუდენტებთან პროდუქტიულია სოკრატეს დიალოგის შემდეგი ტიპების გამოყენება: ცოდნა, ანალოგია-შედარება და კრიტიკული აზროვნება. ა) ცოდნა - აღნიშნული ტიპის დიალოგის ჩატარების წესი მოიცავს ცოდნის კონცეფციის იდენტიფიცირებას, რომელიც ლექტორს სურს, რომ სტუდენტმა

გაიგოს იმ კითხვების მეშვეობით, რომელიც სტუდენტებს მიიყვანს ამ ცოდნამდე. ბ) ანალოგია - წინასწარ შეირჩევა კაზუსი, შესაბამისი კითხვებით, რომლის ფაქტებიც შესაძლებელი იქნება შეიცვალოს მათი განხილვის დროს. სწორად დასმულ კითხვებს სტუდენტები მიჰყავთ დასკვნებამდე. გ) კრიტიკული აზროვნება - აღნიშნული სოკრატეს მეთოდი იყენებს კითხვებს იმისათვის, რომ შეამოწმოს სტუდენტთა ღირებულებები, პრინციპები. აქცენტი კეთდება აზროვნებაზე იდეების მიღმა, და არა იდეების ცოდნაზე. მოითხოვს საკლასო გარემოს, რომელსაც ახასიათებს ე.წ. „პროდუქტიული დისკომფორტი“ და უფრო მეტად გამოიყენება იმისთვის, რომ წარმოჩენილ იქნას სირთულე, კომპლექსურობა და გაურკვევლობა, ვიდრე ფაქტების გამოვლენაზე.

- **გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება** - ეხმარება სტუდენტს მოერგოს პროფესიულ როლს და გაითავისოს იგი. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის უნარებს; ეხმარება კომუნიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში; ასევე იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება პასუხობს სტუდენტის რეალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესს.
- **კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა)** - კონტინუუმი არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს გამოხატონ თავიანთი პოზიციები სადავო საკითხებთან დაკავშირებით. ეს ძალზე სასარგებლოა სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის ლექციამდე ან ასევე ლექციის შემდეგ იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად იქნა გაგებული ახალი მასალა, რადგან მეთოდი მოიცავს სტუდენტების ფიზიკურ მოქმედებას და შესაბამისად პასიურ სტუდენტებსაც კი ახალისებს გულახდილი ლაპარაკისთვის.
- **Classifying Arguments (არგუმენტების კლასიფიცირება)** - არგუმენტების კლასიფიცირება სასამართლო პრაქტიკის შესწავლის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ამ აქტივობის პროცესში, სტუდენტები შეისწავლიან შემთხვევებს, შემდეგ კი გადაეცემათ არგუმენტების სია. ეს სია აუცილებლად უნდა შეიცავდეს ორივე მხარის არგუმენტებს. სტუდენტები კითხულობენ და აფასებენ თითოეულ არგუმენტს, შემდეგ კი იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მხარის მიერ არის წარმოდგენილი არგუმენტები - მოსარჩელის თუ მოპასუხის. ეს აქტივობა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს, რომლითაც სტუდენტები ეცნობიან უზენაესი სასამართლოს საქმეებზე არსებულ არგუმენტებს. ერთი მხრივ, სტუდენტებს აქვთ მთავარი არგუმენტები, მეორე მხრივ კი მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ საკუთარი არგუმენტები უკანა პლანზე არსებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ.
- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი**, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი ამუშავებს თემატიკისათვის საჭირო მასალას მითითებული ლიტერატურის და სხვა წყაროების გამოყენებით;
- **დემონსტრირების მეთოდი**, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;
- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულსაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსაკენ. სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები** - მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.



კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

### **შეფასებათა მინიმალური კომპეტენციის ზღვრები**

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

**შუალედური და დასკვნითი შეფასებების** ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

### **საპატიო (შუალედური/დასკვნითი) გამოცდები**

თუ სტუდენტი ვერ დაესწრება გამოცდას (შუალედურს ან დასკვნითს), მას უფლება აქვს ისარგებლოს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით, შხსუ-ს აკადემიურ კალენდარში მითითებული პერიოდის განმავლობაში.

სტუდენტებმა უნდა დაასაბუთონ გამოცდის გაცდენის მიზეზი ფაკულტეტზე შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით შუალედური გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

საპატიო გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი ან საპატიო გამოცდების გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით.

### **დამატებითი გამოცდა**

სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი გამოცდით, თუ:

ა) სტუდენტის საერთო შეფასება (შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი) არის 41-50 ქულა;

ბ) სტუდენტის საერთო შეფასება (შუალედურ და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი) არის მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ დასკვნითი შეფასებისას ვერ გადალახა ამ ეტაპისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

### **შეფასების ფორმების ფარგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი კომპონენტები:**

- შუალედური გამოცდა (წერთი, ზეპირი ფორმით ან კომბინირებული);
- აქტიურობა სემინარებზე / ჯგუფური მუშაობისას;
- პრეზენტაცია;
- საშინაო დავალება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულება;



- მომზადებული მასალის წარდგენა;
- რეფერატი;
- დისკუსია /დებატები;
- როლური /სიტუაციური თამაშები;
- ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა;
- იმიტირებული სასამართლო პროცესი;
- საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება და სიმულაციების მონაწილეობა;
- კლინიკური კომპონენტის შესრულება;
- დასკვნითი გამოცდა (წერთი, ზეპირი სახით ან კომბინირებული).

**სამაგისტრო ნაშრომი** ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი ( 91 და მეტი ქულა) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (81-90 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (71-80 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (61-70 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (51-60 ქულა) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (41-50 ქულა) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (40 და ნაკლები ქულა) -შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება ერთი სემესტრის განმავლობაში გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე თემაზე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიჭებული ქულა
1	აქტუალობა	10	
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10	
3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10	
4	სიახლე	10	
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5	

7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15	
8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10	
<b>სულ</b>		<b>100</b>	
<b>საბოლოო შეფასება</b>			

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი (3000 სთ.) გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის, 4 სემესტრზე, თითოეულ სემესტრში 30 კრედიტის ოდენობით.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS). 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას.

სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 24 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 6 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები სამაგისტრო საფეხურიდან.

სტუდენტი დაეუფლება აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, პროფესიულ ინგლისურ ენას იურისტებისათვის. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მეორე და მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რასაც სტუდენტები გაივლიან შეთავაზებული სამიდან ორ კლინიკაში - იურიდიულ კლინიკაში, არბიტრაჟის კლინიკასა და /ან მედიაციის კლინიკაში. აღნიშნულ კლინიკებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

მეოთხე სემესტრში სტუდენტი დროს სრულად დაუთმობს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, რის შემდეგაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომის უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით დაცვა.

სწავლების პროცესში სტუდენტი ინგლისურად გადის სასწავლო კურსებს 18 კრედიტის ოდენობით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომი შეასრულოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულების წინაპირობაა სამართლებრივი წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ინგლისურ ენაზე ათვისება.

**დასაქმების სფერო:** კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროა:

- ადგილობრივი და საერთაშორისო იურიდიული კომპანიები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნეს კომპანიები;
- საჯარო სამსახურის სტრუქტურები შესაბამისი პროფილით;
- საკონსულტაციო კომპანიები;
- სხვა ორგანიზაციები, სადაც საჭიროა იურისტის კვალიფიკაციის მქონე კადრი.

კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია, გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი**

**მატერიალური რესურსის შესახებ :** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად განკუთვნილი კაბინეტი;
- უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

ასევე, იმ ორგანიზაციების რესურსი, რომლებთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:** პროგრამის ხელმძღვანელების და პროგრამაში მონაწილე პერსონალის რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია შხსუ-ს კანცელარიაში.

**სასწავლო გეგმა**

#	სასწავლო კურსი / პრაქტიკული კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო	საათების განაწილება	საათების რაოდენობა კვირაში
---	---	---------	-------------------------	--------------------------------------	------------------------	----------------------------------

	(კლინიკა) /სამეცნიერო კვლევის კომპონენტი			კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საკონტაქტო									
				I ს.წ.		II ს.წ.		ლექცია	ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები	ლექცია	ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო/ შუალედური გამოცდა	სულ
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი										
I	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი	სავალდებულო	42	24	12	6		105	209	16	14	344	706	1050	8	14	22
1	შედარებითი კერძო სამართალი, ძირითადი კონცეფციები		6	6				29	14	2	2	47	103	150	2	1	3
2	პროფესიული უნარ-ჩვევები		6	6				15	28	2	2	47	103	150	1	2	3
3	სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება		6		6			16	27	2	2	47	103	150	1	2	3
4	შედარებითი საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტა		6		6			15	28	2	2	47	103	150	2	1	3
5	დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2+)		6	6				15	41	4	2	62	88	150	2	2	4
6	პროფესიული ეთიკის საერთაშორისო სტანდარტები		6	6				16	27	2	2	47	103	150	1	2	3
7	სამართლებრივი წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები		6			6		16	27	2	2	47	103	150	1	2	3
II	სპეციალობის არჩევითი კომპონენტი	არჩევითი	24	6	6	12		60	112	8	8	188	412	600	4	8	12

1	საერთაშორისო კერძო სამართალი		6				29	14	2	2	47	103	150	2	1	3
2	შედარებითი სანივთო სამართალი		6				16	27	2	2	47	103	150	1	2	3
3	შედარებითი საკორპორაციო სამართალი		6				29	14	2	2	47	103	150	1	2	3
4	შედარებითი სახელმეკრულებო სამართალი		6				17	26	2	2	47	103	150	1	2	3
5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, ქართული და ევროპული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი		6				29	14	2	2	47	103	150	2	1	3
7	შედარებითი საბანკო სამართალი		6				30	13	2	2	47	103	150	2	1	3
8	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი		6				30	16	2	2	50	100	150	2	1	3
9	ევროკავშირის ბიზნეს-სამართალი		6				29	14	2	2	47	103	150	2	1	3
10	ევროკავშირის კონკურენციის სამართალი		6				27	16	2	2	47	103	150	2	1	3
11	საერთაშორისო ნასყიდობის სამართალი		6				30	13	2	2	47	103	150	2	1	3
12	ევროკავშირის კომერციული სამართალი		6				27	16	2	2	47	103	150	2	1	3
13	კორპორაციული მართვა		6				16	27	2	2	47	103	150	1	2	3
14	მედიაცია, მოლაპარაკება და მენეჯმენტი		6				17	29	2	2	50	100	150	1	2	3
<b>III</b>	<b>პრაქტიკული კომპონენტი</b>	<b>არჩევითი</b>	<b>24</b>		<b>12</b>	<b>12</b>	<b>60</b>	<b>240</b>		<b>4</b>	<b>304</b>	<b>296</b>	<b>600</b>	<b>4</b>	<b>16</b>	<b>20</b>
	იურიდიული კლინიკა		12		<b>12</b>		30	90		1	120	179	300	2	8	10
	არბიტრაჟის კლინიკა		12		<b>12</b>		30	90		1	120	179	300	2	8	10
	მედიაციის კლინიკა		12		<b>12</b>		30	90		1	120	179	300	2	8	10
<b>IV</b>	<b>სამეცნიერო კვლევის კომპონენტი</b>	<b>სავალდებულო</b>	<b>30</b>				<b>30</b>	<b>30</b>			<b>30</b>	<b>720</b>	<b>750</b>		<b>2</b>	

სამაგისტრო ნაშრომი	30				30		30			30	720	750		2	
<b>სულ</b>	<b>120</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>225</b>	<b>591</b>	<b>24</b>	<b>26</b>	<b>866</b>	<b>2134</b>	<b>3000</b>	<b>16</b>	<b>40</b>	<b>54</b>

**შენიშვნა:**

1. რადგან ყველა არჩევით საგანს არა აქვს საათების ერთნაირი განაწილება ჯამური საათების განაგარიშებისას სპეციალობის არჩევითი კომპონენტის ნაწილში პრობითად ვიღებთ პირველი სასწავლო კურსის მონაცემებს.
2. სპეციალობის არჩევითი კომპონენტის 24 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 6 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.